SANCTIONOMICS AND THE MAIN DIRECTIONS OF CHANGES IN THE ARCHITECTURE OF THE WORLD ECONOMY DURING THE CONFRONTATIONAL GLOBALIZATION

სანქციონომიკა და მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილების ძირითადი მიმართულებები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში

Vladimer Papava

Professor of Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
+995 595333359
vladimer.papava@tsu.ge
https://orcid.org/0000-0001-7835-662X

The paper examines issues related to changes in the global economy that began in the context of the COVID-19 pandemic and were further exacerbated by the Russian war in Ukraine and, especially, due to the economic sanctions imposed by the West against Russia. These large-scale economic sanctions have no analogues in the history of mankind and they have their negative effects not only in relation to Russia, but also vis-a-vis those countries that have imposed these sanctions and the countries that have not acceded to them. For the economies of these countries, these negative effects are exogenous since they are not generated in the "bosom" of the economy but were introduced into the economy by sanctions; that is, from the outside. For economics, and in particular for sanctionomics, the study of the functioning of the global economy under these economic sanctions becomes a priority. These sanctions triggered the "Oil War" and the "Food War" which have directly contributed to the rise in inflation. The main problem of high inflation comes from the disruptions in global supply chains that began during the COVID-19 pandemic and were exacerbated by the war and the economic sanctions. The solution to the problem of high inflation is directly related to the renewal of global supply chains. This requires the diversification of international trade to the maximum extent possible. The issue of a new concept of globalization is on the agenda, one which will take the problems associated with economic security into account as much as possible, especially with energy and food security. It is a fact that the economic sanctions

imposed by the West against Russia have shear gaps. In particular, not all countries of the world (for example, Israel, Turkey, China, India) support these sanctions and many EU countries, simultaneously with the introduction of economic sanctions against Russia, do not stop buying Russian oil and gas. As a result, Russia has a stable income from the sale of energy products. Economic sanctions directly affect changes in the architecture of the world economy. At the present time, such an alignment is taking shape in international economic relations which is very similar to the situation during the "Cold War" of the West against the USSR. All countries of the world are divided into three groups: the first includes countries strictly adhering to economic sanctions against Russia, the second – Russia and Belarus and the third – the so-called buffer countries that do not fully or at all support these sanctions. As long as the EU countries continue to consume Russia's oil and gas, they are also buffer countries. On the basis of a gradual reduction in the purchase of Russian gas and oil, the EU countries plan to eventually completely abandon their consumption. Consequently, the EU countries from the third group of buffer countries will move to the first group. These changes in the architecture of the world economy are not indicative of deglobalization but of confrontational globalization that is replacing the turbulent globalization that began during the COVID-19 pandemic. Confrontational globalization requires each country to find its place in the new architecture of the world economy which should come from a rational combination of economic security and the expansion of international economic cooperation and not just international trade. Much in the formation of a new architecture of the global economy depends on when the Russian war in Ukraine will end and what the final results will be. The continuation of the war for a relatively long time will increase the confrontational nature of modern globalization. The entire civilized world hopes for Ukraine's victory in this war, although, in all likelihood its completion will not automatically lead to the lifting of economic sanctions against Russia.

Keywords: economic sanctions, sanctionomics, inflatio, architecture of the world economy, turbulent globalization, confrontational globalization.

JEL Classification: A00, F38. F51, F52, F63, F65

ვლადიმერ პაპავა

აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
+995 595333359
vladimer.papava@tsu.ge
https://orcid.org/0000-0001-7835-662X

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია ის ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირშირებული რუსეთის მიერ უკრაინაში ომთან და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ მიღებულ ეკონომიკურ სანქციებთან. დასაბუთებულია, სანქცინომიკის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების იმ სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის საკითხებს შეიწავლის. ეკონომიკური სანქციები განაპირობებენ მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლიებებს, რომელიც ძირითადად ემსაგვსება საბჭოთა კავშირის დროინდელი „ცივი ომის“ პირობებში ჩამოყალიბებულს. მსოფლიოს ქვეყნები ექცევიან იმ ქვეყნების ჯგუფში, რომლებიც იღებენ სრულმასშტაბიან სანქციებს (მაგალითად, აშშ და დიდი ბრიტანეთი და სახვ.), ან ექვემდებარებიან სანქციებს (რუსეთი და ბელარუსი), ან თუნდაც ნაწილობრივ მაინც არ იზიარებენ სანქციებს (ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, ჩინეთი, ინდოეთი და სხვ.). ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიის დროს გლობალიზაციის პროცესი იყო ტურბულენტურ მდგომარეობაში, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა სანქციებმა მსოფლიო ეკონომიკაში გააძლიერა ფრაგმენტაციულობა და, აქედან გამომდინარე, შესძინა კონფრონტაციული ხასიათი. ფაქტობრივად, სახეზეა კონფრონტაციული გლობალიზაცია. მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის საბოლოო სახე უშუალოდაა დაკავშირებული იმასთან, თუ როდის და როგორი პირობებით გახდება შესაძლებელი რუსეთ-უკრაინის ომის დასრულება. აშკარაა, რომ მსოფლიო ეკონომიკა პრაქტიკულად ვერ შეძლებს დაუბრუნდეს იმ არქიტექტურას, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომამდე ჩამოყალიბდა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური სანქციები, სანქციონომიკა, ინფლაცია, მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურა, ტურბულენტური გლობალიზაცია, კონფრონტაციული გლობალიზაცია.

JEL Classification: A00, F38. F51, F52, F63, F65

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო მასშტაბური აგრესია უკრაინის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმ მასშტაბის სამხედრო მოქმედებები ევროპაში, როგორიც 2022 წლის თებერვლიდან უკრაინის ტერიტორიაზე დაიწყო, არ ყოფილა.

იმ მიზნით, რომ, ერთი მხრივ, რუსეთი დასჯილიყო უკრაინაში ომის დაწყების გამო, ხოლო, მეორე მხრივ, თავიდან რომ ყოფილიყო აცილებული მესამე მსოფლიო ომის დაწყება, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებული სამხედრო აგრესიის საპირისპიროდ, აშშ-მ და ევროკავშირმა, ეკონომიკურად განვითარებულ სხვა ქვეყნებთან ერთად, მოსკოვს ფართომასშტაბიანი ეკონომიკური საქნციები დაუწესეს (Nolsoe and Pop 2022).

ამ ომს წინ უძღოდა COVID-19-ის პანდემიაა, რომელიც 2020 წლის მარტში დაიწყო. პანდემიამ და რუსეთის ომმა უკრაინაში, ასევე რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკნომიკურმა სანქციებმა გლობალური ეკონომიკის ძირეული შეცვლა გამოიწვია (Roubini 2022b).

აშკარაა, რომ მსოფლიო ეკონომიკაში არსებული გლობალური წესრიგი ძირეულ ცვლებებს განიცდის (Krugman 2022). ეს პროცესები, კი თავის მხრივ, სიღრმისეულ ეკონომიკურ გაანალიზებას საჭიროებს.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანია, შესწავლილ იქნას მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები, რომელიც განპირობებულია, როგორც რუსეთის ომით უკრაინაში, ისე რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით.

რა არის სანქციონომიკა

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ სანქციებს ხანგრძლივი ისტორია აქვს და მათი გამოყენების პირველი შემთხვევა ძვ.წ მე-5 საუკუნითაა დაფიქსირებული. ეკონომიკურ

სანქციებს შუა საუკუნეებშიც იყენედნენ და რუსეთ უკრაინის ომის დაწყებამდეც ხშირად ყოფილა გამოიყენებული (Abughris, n.d.). ეკონომიკური სანქციების ისტორიიდან განსაკუთრებით მეოცე საუკუნეა გამორჩეული (PIIE, n.d.).

საყურადღებოა, რომ ეკონომიკური სანქციები „ცივი ომისთვის" დამახასიათებელი ინსტრუმენტია, და ჯერ-ჯერობით პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რამდენად არის შესაძლებელი „ცივი ომით" „ცხელი ომის" თუ არა „დამარცხება", თუნდაც შეჩერება მაინც (Papava 2022a). ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ეკონომიკური სანქციების, როგორც უსაფრთხოების მექანიზმის ეფექტიანობის საკითხის გარკვევა. როგორც არაერთი ქვეყნისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის თანამედროვე კველვები ცხადყოფს, სანქციების გზით დადებითი შედეგის მიღება უშუალოდაა დამოკიდებული ამ სანქციების ყოვლისმომცველობაზე, ქვეყნების რაოდენობაზე, რომლების მონაწილეობენ ამ სანქციებში, და იმაზეც, თუ რამდენად ავტორიტარულია ის ქვეყნა, რომელსაც უწესებენ სანქციებს (Tarallo 2020).

როცა საუბარია საბჭოტა კავშირის დროინდელ „ცივ ომზე", ჩემი აზრით, გასათვალისწინებელია, რომ ამ ქვეყნის დაშლის მიუხედავად ის სულაც არ დასრულებულა (სინამდვილეში დასავლეთი იტყუებდა თავს, რომ თითქოსდა „ცივი ომი" დასრულდა), მხოლოდ და მხოლოდ „გაიყინა", რასაც რუსეთის ეკონომიკური სისუსტე განაპირობებდა (Papava 2014a, 2014b). ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, თუ როგორ ცდილობდა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაძვირებით მიღებული შემოსავლებით ეკონომიკურად მომძლავრებული რუსეთი ეკონომიკური მეთოდებით თავის გარშემო ე.წ. „ლიბერალური" იმპერია შეექმნა (Papava 2021c; Papava, and Starr 2006).

ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობა, მათი გავლენის შესწავლა, როგორც სანქციადაწესებულზე, სანქციადამწესებლებსა და იმ სუბიექტებზე, რომლებსაც არა მარტო არ შეხებიათ სანქციები, არამედ მათ არც მიერთებიან, ეკონომისტების უშუალო კვლევითი ინტერესის სფეროშია. ისინი მეტ-ნაკლები ინტენსიურობით სწავლობდნენ მსოფლიო ისტორიაში დაწესებული ეკონომიკური სანქციების ეკონომიკურ ეფექტებს (მაგალითად, Hufbauer et al. 2021; Mulder 2022).

სყურადღებოა, რომ უკრაინაში წარმოებული ომის გამო რუსეთის წინააღდმეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები იმდენად ფართომასშტაბიანია (მაგალითად, BBC 2022), რომ განსაკუთრებული ინტერესის სფეროს განეკუთვნება ამ სანქციების ყველა შესაძლო

ეფექტის (დადებითისაც და უარყოფითისაც) შესწავლა (Papava 2022c). ტერმინი **„სანქციონომიკა“**, რომელიც ორი ტერმინის „სანქციები“ და „ეკონომიკა“ გაერთიანებით მიიღება, გამოხატავს ეკონომიკური მეცნიერების სპეციფიკურ სფეროს, რომელიც მოწოდებულია ეკონომიკური სანქციების მიერ გამოწვეული ეკონომიკური შედეგები შეისწავლოს (Papava 2022b). აშკარაა, რომ, მაშინ, როცა რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა ომმა და ამის გამო რუსეთი წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა სერიოზული სირთულეები შეუქმნა მსოფლიო ეკონომიკას, სანქციონომიკის პრობლემების შესწავლა ახლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

ძალიან მალე, რაც რუსეთის უკრაინაში ომი დაიწყო, ნათელი შეიქმნა, რომ ის ე.წ. გეოპოლიტიკურ დეპრესიას გამოიწვევდა და გობალურ ეკონომიკაში წლების განმავლობაში დაგროვებულ პრობლემებს კიდევ უფრო გაამწვავებდა (Roubini 2022b). მას შემდეგ კი, რაც რუსეთის წინაარმდეგ შემოღებული იქნა ეკონომიკური სანქციები, რომელთა საბოლოო მიზანია რუსეთში ეკონომიკური კოლაფსის გამოწვევა (Werker 2022), ძნელი წარმოსადგენი სულაც არ იყო, რომ ეს სანქციები სხვა ქვეყნებზეც აისახებოდა უარყოფითად (Bishop 2022), ხოლო ყველაზე მეტად კი არა იმდენად მდიდარი, რამდენადაც ჩვეულებრივი ადამიანები იქნება დაზარალებული (McMaken 2022).

ამის დასტურად გამოდგება სურსათის პრობლემის განსაკუთრებული გამწვავება. კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე, რუსეთი და უკრაინა ერთად მსოფლიოს ხორბლის 15% აწარმოებდა, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით მათი წილი ხორბლის ექსპორტში 25%-ს შეადგენდა. ომის პირობებში, უკრაინა ვერ ახერხებს (რადგანაც უკრაინის საზღვაო პორტები დაბლოკილია რუსული სამხედრო ხომალდების მიერ) ხორბლის ექსპორტს, რუსეთმა კი მასზე დაწესებული ეკონომიკური საქნციების საპასუხოდ, ცალკეული მიმართულებებით ხორბლის ექსპორტი აკრძალა, ხოლო სხვა მიმართულებებით კი ხორბლის ფასი მნიშვნელოვნად გაზარდა. შედეგად, ხორბალი „სასურსათო ომის“ (Frum 2022) იარაღი გახდა. აშკარაა, რომ ხორბლის მიწოდების შემცირებისა და გაძვირების გამო ძვირდება პური, რაც უშუალოდ უარყოფითად აისახება განვითარებად ქვეყნებზე, განსაკუთრებით კი ამ ქვეყნების მოსახლეობის შედარებით ღარიბ ნაწილზე, რაც, როგორც წესი, ამ ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს.

როცა სურსათის ფასის ზრდაზე ვსაუბრობთ, ასევე ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ნავთობისა და ბუნებრივი აირის ფასების მატებაც, რაც განაპირობა რუსეთისთვის

დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა (Yergin 2022), და, რაც „ნავთობის ომადაა“ კვალიფიცირებული (Bugriy 2022). მას შემდეგ, რაც აშშ-მა აკრძალა რუსეთიდან ნავთობის იმპორტი (Ballard 2022), ფაქტია, რომ არავინ იცის თუ ნავთობზე, ბუნებრივ აირსა და სხვა პროდუქციაზეც რამდენ ხანს გასტანს ფასების ზრდა (Baker 2022b).

„სასურსათო ომმა“ და „ნავთობის ომმა“ ისედაც მაღალი ინფლაციის პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა. ამ ინფლაციის ზრდას კი საფუძველი კოვიდ-19-ის პანდემიის დროს ჩაეყარა (Acemoglu 2021). რუსეთ-უკრაინის ომი მაშინ დაიწყო, როცა პანდემია ჯერ არ არის დასრულებული. მაშასადამე, სრულფასოვანი გამოსვლა პანდემიიდან, ანუ „პანდექსიტი“ (Davies 2021) ჯერ კიდევ არ მომხდარა. შედეგად კი პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს (Papava 2021b) რუსეთ-უკრაინის ომით და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისიც დაემატა.

კოვიდ-19-ის პანდემიისგან გამოწვეული მაღალი ინფლაციის მთავარი მიზეზი მიწოდების შემცირებაა, რაც მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევამ გამოიწვია. თავის მხრივ, ამ ჯაჭვების რღვევა კოვიდ-19-ის გავრცელების შეზღუდვის მიზნით ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში საქმიანობის ჩაკეტვამ განაპირობა (Coyle 2021). მაღალი ინფლაციის ფორმირებაში მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევის გადამწყვეტი როლი აშკარაა (Baker 2022a). შედეგად კი ახალი ტერმინი – „მიწოდების ჩეინფლაცია“ (ინგლისური სიტყვა „chain“ („ჩეინ“) ქართულად ჯაჭვს ნიშნავს) იქნა შემორებული (Pride, Reynolds, and Vovk 2022).

რადგანაც მიწოდების ჩეინფლაცია არის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში საქმიანობის შეჩერება, ამან, თავის მხრივ, არა მარტო მიწოდების, არამედ საზოგადოდ წარმოების შემცირებაც გამოიწვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკლებწარმოების ინფლაცია ჩამოყალიბდა (Papava 2022f).

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები რუსეთის არსებული მიწოდების გლობალური ჯაჭვებიდან გამოირიცხვას და მიწოდების ახალი გლობალური ჯაჭვებს ფორმირებას გამოიწვევს. მაშასადამე, COVID-19-ის პანდემიამ, და მასთან ერთად რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა დღის წესრიგში საგარეო ვაჭრობის დივერსიფიცირების აუცილებლობის საკითხი დააყენა (Spence 2022b). ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოების ხარჯების ზრდას გამოიწვევს და შედეგად წარმოების დანახარჯების ზრდით გამოწვეულ ინფლაციას მივიღებთ. აქედან გამომდინარე ეჭვგარეშეა, რომ ამ მაღალი ინფლაციის

გამომწვევი მიზეზი მიწოდების კლებაა (Spence 2022a; Stiglitz, and Baker 2022), რაც მოითხოვს იმის აღიარებას, რომ ამ ტიპის ინფლაცია მაკროეკონომიკური პრობლება არ არის (Galbraith 2021), რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ წარმოების ფაქტორების პროდუქტიულობის ზრდის გზით (Rodrik 2022b).

მაღალი ინფლაციის გარდა სანქციონომიკის შესწავლის დღის წესრიგში სხვა მნიშვნელოვანი პრობლემაც დგას (მაგალითად, სტაგფლაციური სავალო კრიზისის საფრთხე (Roubini 2022a)), რაც ეკონომიკურ მეცნიერებას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ერთ-ერთი ასეთი საკითხი არის რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ტრანსფორმაციასა და ზოგადად გლობალიზაციაზე.

მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ტრანსფორმირების ძირითადი მიმართულებები და კონფრონტაციული გლობალიზაცია

ჯერ COVID-19-ის პანდემია, და განსაკუთრებით კი რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები უშუალოდ აისახა, როგორც ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ ხასითზე, ისე მსოფლიო ვაჭრობაზე (Furman 2022). ამან კი შექმნა იმის განცდა, რომ გლობალიზაცია დეგლობალიზაციამ ჩაანაცვლა (Wei, and Wang 2022). სინამდვილეში კი ადგილი არა დეგლობალიზაციას, არამედ ფსევდოდეგლობალიზაციას აქვს (Papava 2021a). ამის ყველაზე თვალსაჩინო არგუმენტი არის ის, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით გამოწვეულ პრობლემებთან გამკლავების ყველაზე ეფექტიანი გზა კი საერთაშორისო ვაჭრობის დივერსიფიკაციაა (Spence 2022b), რაც, თავის მხრივ, გლობალიზაციის გარეშე განუხორციელებელი დარჩება. სხვა სიტყვებით, დღის წესრიგში დადგა გლობალიზაციის უფრო სრულყოფილ დონეზე აყვანა, რისი აუცილებლობას ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დროს გამოიკვეთა (El-Erian 2020).

განახლებულ გლობალიზაციაში კი აშკარაა, რომ განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ეკონომიკურ, განსაკუთრებით კი ენერგეტიკულ (UN 2021) და სასურსათო (Blair, and Kalibata 2020) უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

სხვა სიტყვებით, ფსევდოდეგლობალიზაციამ COVID-19-ის პანდემიის დროს გლობალიზაციის პროცესის გარკვეულ მოუწესრიგებულობასა და რყევებში იჩინა თავი, რაც შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც ტურბულენტური გლობალიზაცია (Papava 2022e).

გლობალიზაციის ტურბულენტურობის დონის შესუსტებაში კი დიდი როლი COVID-19-ის საწინაარმდეგო ვაქცინის შემოღებამ და ფართოდ გავრცელებამ შეასრულა.

რუსეთის ომმა უკრაინაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, არა მარტო ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის კონტურები (Roubini 2022b), არამედ მსოფლიო წესრიგის ცვლილების პროვოცირებასაც მისცა ბიძგი (Krugman 2022). ამ ომთან ერთად მსოფლიოში არსებული სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა, რადგანაც ისინი მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ ხასიათს უშუალად შეეხო (Furman 2022). ფაქტია, რომ დაწყებულია მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის გარდაქმნა (Papava 2022d).

მსოფლიო ეკონომიკის ახალ არქიტექტურის ფორმირების კონტურების განხილვისას, აუცილებელია, წარსულის, უკვე დავიწყებულის გახსენება. კერძოდ, საქმე ეხება მსოფლიო ეკონომიკის იმ არქიტექტურას, რომელიც საბჭოთა კავშირის დროინდელი „ცივი ომის“ პირობებში გამოიკვეთა. კერძოდ, იმ დროს ქვეყნები მსოფლიოში სამ ჯგუფად იყო დაყოფილი. პირველ ჯგუფში შედიოდა აშშ და მის ირგვლივ გაერთიანებული ქვეყნები, მეორეში – სსრკ-ს გარშემო გაერთიანებული ქვეყნები, ხოლო მესამეში კი – ქვეყნები, რომლებიც ე.წ. ბუფერულ როლს ასრულებდნენ. მათი ბუფერული ხასიათი უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ცდილობდნენ პირველი ორი ჯგუფის ქვეყნებთან ურთიერთობის მეტ-ნაკლებად ნორმალური ხასიათი არ შეენაჩუნებინათ. 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკის ამგვარი სტრუქტურის აღდგენა ისევ დღის წესრიგში დადგა.

ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დროინდელი „ცივი ომის“ დროს, თანამედროვე მსოფლიოც პირობითად შეიძლება ქვეყნების იმავე სამ ჯგუფად დაიყოს, თუმცა გარკვეული მოდიფიცირებით:

- პირველ ჯგუფში, რომლის სათავეშიც აშშ და დიდი ბრიტანეთია, ძნელია ევროკავშირის იმ ქვეყნების შეყვანა, რომლებიც რუსულ გაზს და ნავთობს სანქციების მიუხედავად მაინც ყიდულობენ და იძულებულნი არიან რუსეთთთან ეს სავაჭრო ურთიერთობა გააგრძელონ. ეს ქვეყნები მხოლოდ იმ შემთხვევაში

გადავლენ პირველ ჯგუფში, როგორც კი რუსული გაზის და ნავთობის შესყიდვას შეწყვეტენ;

- მეორე ჯგუფში რუსეთთან ერთად შედის მხოლოდ ბელარუსი. მართალია, რუსეთმა 2015 წლიდან ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფორმატში თავის გარშემო შემოიკრიბა ბელარუსი, სომხეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი, მაგრამ ეს კავშირი რუსეთმა მეტ-ნეკლები წარმატებით გამოიყენა დასვლათის მიერ 2014 წელს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად (Papava 2015). აშკარაა, რომ რუსეთი შეეცდება ამ გამოცდილების კიდევ ერთხელ გამოყენებას;
- მსოფლიო ეკონომიკის ახალ ფრაგმენტაციაში განსაკუთრებული როლი ჩინეთსა და ინდოეთს ეკუთვნის. ფორმალურად ისინი მესამე, ე.წ. ბუფერული ქვეყნების ჯგუფში შედიან. ისინი არ უჭერენ მხარს რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს, თუმცა, იმავდროულად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აშშ-სთან და მის მოკავშირეებთან ურთიერთობების ზედმეტ გამწვავებაზე წავიდნენ. ფაქტია, რომ მესამე, ბუფერულ ჯგუფში შემავალი ქვეყნების რაოდენობა, სადაც ევროკავშირის ის წევრი სახელმწიფოებიც შედიან, რომლებიც სანქციების მიუხედავად აგრძელებენ რუსეთისგან გაზის და (ან) შევთობის შესყიდვას, ბევრად მეტია, ვიდრე პირველ ორ ჯგუფში შემავალი ქვეყნების რაოდენობა.

ამასთან ერთად, საყურადღებოა ისიც, რომ, როცა მოსკოვმა პეკინს სამხედრო და ფინანსური დახმარება თხოვა, ჩინეთმა გამოიჩინა გარკვეული სიფრთხილე, რათა მისი კომპანიები რუსულ კომპანიებთან თანამშრომლობის შემთხვევაში აშშ-ს სანქციების ქვეშ არ მოხვედრლიყვენენ (Bloomberg News 2022).

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთი რთული არჩევანის წინაშე დგას, რომელიც, ერთი მხრივ, ცდილობს რუსეთთან შეინარჩუნოს ტრადიციული სტრატეგიული პარტნიორობა (Lukin, and Pareek 2022), თუმცა, მეორე მხრივ, სულაც არ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ იძულებული გახდეს რუსეთთან გარკვეულწილად შეცვალოს კიდეც კავშირების არსებული კონფიგურაცია (Pant 2022).

ეკონომიკის გლობალური არქიტექტურის ტრანსფორმაციის პრობლემის განხილვა არ იქნება სრულყოფილი, თუ არ იქნება გააზრებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი ამ ტრანსფორმაციულ პროცესში. მოცემული ინსტიტუტებისთვის დღის წესრიგში

დადგა როგორც რუსეთისა და ბელარუსისთვის მათ რესურსებზე წვდომის სრული შეწყვეტა ან, სულ მცირე, მნიშვნელოვანი შეზღუდვა მაინც; აქვე ისიც უნადა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გარიცხვაც არ არის გამორიცხული (Weiss 2022). რაც შეეხება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, მან მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვსა და მინსკში ოფისების დახურვის შესახებ (EBRD Press Office 2022).

მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ტრანსფორმაციის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ამ ეკონომიკის ფრაგმენტაციაა. ამასთან დაკავშირებით პასუხგასაცემია კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად თავსებადია კონფრონტაციულობა და გლობალიზაცია? სხვა სიტყვებით, გასარკვევია გამორიცხავს თუ არა გლობალიზაციას კონფრონტაციულობა?

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკურ სანქციებს ორი მნიშვნელოვანი ხარვეზი აქვს. კერძოდ, ჯერ ერთი, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესების პარალელურად აგრძელებს რუსული ენერგომატარებლების შეძენას (Dodman 2022), ხოლო, მეორე, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა (ამუ, როგორ ეს ზემოთ აღინიშნა, ბუფერული სახელმწიფოები) რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს არ მიერთებია.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე გლობალური ეკონომიკის კონფრონტაციული ხასიათი სულაც არ უნდა ნიშნავდეს გლობალიზაციის დასასრულს. უფრო სწორია გლობალიზაციის ესმ მოდელი კვალიფიცირებულ იქნას, როგორც კონფრონტაციული გლობალიზაცია; შესაბამისად, COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ტურბულენტური გლობალიზაცია უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომმა და მის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა კონფრონტაციული გლობალიზაციით ჩაანაცვლა (Papava 2022e).

ზემოთ უკვე ითქვა, რომ COVID-19-ის პანდემიის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი იყო გლობალიზაციის ახალ დონეზე განახლება. ეს დებულება სამართლიანია კონფრონატიულ გლობალიზაციასთან მიმართებასიც, რომელსაც ე.წ. „უკეთესი გლობალიზაცია“ აუცილებლად ჩაანაცვლებს (Rodrik 2022a). მისი კონტურები კი რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების კვალობაზე გამოიკვეთება (Rousseau 2022).

აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ მსოფლიო ეკონომიკის განახლებული არქიტექტურის ფორმირების პროცესში ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როდის და რის ხარჯზე იქნება მშვიდობა მიღწეული (Sachs 2022). სავარაუდოდ, მსოფლიო ეკონომიკის

კრიზისამდელი არქიტექტურის თუნდაც მიახლოებული აღდგენა დიდ სირთულეებს წააწყდება.

დასკვნა

ეკონომიკური სანქციები, რომელიც დასავლეთმა შემოიღო რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში ომის დაწყების გამო არნახული მასშტაბებისაა. იმაცდროულად, ცნობილია, რომ ეკონომიკური სანქციები „ცივი ომის“ შესატყვისი მექანიზმებია, ხოლო მსოფლიო პრაქტიკისთვის ჯერ-ჯერობით უცნობია ის, თუ რამდენადაა შესაძლებელი „ცივი ომით“ „ცხელი ომის“ თუნდაც შეჩერება. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების ჭრილში კონკრეტული ეკონომიკური სანქციების ეფექტიანობის შესწავლას. ამ მიზნით გამოყენებულია ტერმინი „სანქციონომიკა“ იმ ეკონომიკური მეცნიერების სპეციფიკურ სფეროს გამოსაყოფად, რომელმაც ეკონომიკური სანქციების მიერ გამოწვეული ეკონომიკური შედეგები უნდა შეისწავლოს.

ეკონომიკურმა სანქციებმა მსოფლიო მნიშვნელობის არაერთი პრობლემა („ნავთობის ომი“, „სასურსათო ომი“, მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტა, სტაბილურად მაღალი ინფლაცია, და სხვ.) გაამწვავა. ეს პრობლემები ეკონომიკურ მეცნიერებას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს.

ამ პრობლემების გადაწყვეტა განახლებული გლობალიზაციის (რომელიც ენერგეტიკულ და სასურსათო უსაფრთხოებას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს) გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა დღის წესრიგში მსოფლიო ეკონომიკის ახალ არქიტექტურის ფორმირების აუცილებლობა დააყენა. ის გარკვეულწილად იმეორებს საბჭოთა კავშირის დროინდელი „ცივი ომის“ მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურას. მსოფლიო ეკონომიკის ფორმირებადი არქიტექტურის თანახმად, პირველ ჯგუფში შედიან აშშ, დიდი ბრიტანეთი და ყველა ის ქვეყანა, რომელიც სრულად იზიარებს რუსეთის წინააღმდეგ შემღებულ სანქციებს; მეორე ჯგუფში შედიან რუსეთი და ბელარუსი; მესამე ჯგუფს კი წარმოადგენენ ე.წ. ბუფერული ქვეყნები, რომლებიც თუნდაც ნაწილობრივ მაინც არ უერთდებიან ამ სანქციებს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები კი სრულად ან ნაწილობრივ მაინც ზღუდავენ თავის საქმიანობას რუსეთისა და ბელარუსში.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ამ ეკონომიკის ფრაგმენტაცია და კონფრონტაციულობაა. ეს, თავის მხრივ, გლობალიზაციას კონფრონტაციულ ხასიათზე მეტყველებს.

მსოფლიო ეკონომიკის განახლებული არქიტექტურის საბოლოო სტრუქტურა უშუალოდაა დამოკიდებული იმაზე, თუ როდის და როგორ დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES

Abughris, Noura. 2022. n.d. "A Brief History of Economic Sanctions." *Carter-Ruck*, Accessed July 2, https://www.carter-ruck.com/insight/a-brief-history-of-economic-sanctions/.

Acemoglu, Daron. 2021. "The Real Inflation Risk." *Project Syndicate*, July 6. https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-does-not-justify-derailing-recovery-for-workers-by-daron-acemoglu-2021-07.

Baker, Dean. 2022a. "Supply Chain Problems Continue as Inflation Jumps in February." *Eurasia Review*, March 11. https://www.eurasiareview.com/11032022-supply-chain-problems-continue-as-inflation-jumps-in-february-analysis/.

Baker, Dean. 2022b. "Yet More on Inflation." *Eurasia Review*, March 9. https://www.eurasiareview.com/09032022-yet-more-on-inflation-oped/.

Ballard, Kelli. 2022. "No Oil From Russia – Now What?" *Liberty Nation*, March 9. https://www.libertynation.com/no-oil-from-russia-now-what/.

BBC. 2022. "Ukraine: What Sanctions are being Imposed on Russia?" *BBC*, June 27. https://www.bbc.com/news/world-europe-60125659.

Bishop, Tho. 2022. "Sanctions against Russia Are the Lockdowns of 2022." *Power & Market, Mises Institute Blog*, March 8. https://mises.org/power-market/sanctions-against-russia-are-lockdowns-2022.

Blair, Tony, and Agnes Kalibata. 2020. "Building Food Security During the Pandemic." *Project Syndicate*, May 7. https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2ad6876daf-sunday_newsletter_10_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2ad6876daf-93567601&mc_cid=2ad6876daf&mc_eid=e9fb6cbcc0.

Bloomberg News. 2022. "China Says It Wants to Avoid U.S. Sanctions Over Russia's War." *Bloomberg*, March 15. https://www.bloomberg.com/news/articles/2022-03-15/china-says-it-wants-to-avoid-u-s-sanctions-over-russia-s-war.

Bugriy, Maksym. 2022. "The Oil War: Facing EU Embargo, Russia Targeted Ukraine's Supplies." *Eurasia Review*, May 20, https://www.eurasiareview.com/20052022-the-oil-war-facing-eu-embargo-russia-targeted-ukraines-supplies-analysis/.

Coyle, Diane. 2021. "The Great Supply-Chain Massacre." *Project Syndicate*, October 15. https://www.project-syndicate.org/commentary/current-supply-shocks-and-2008-global-financial-crisis-by-diane-coyle-2021-10.

Davies, Howard, 2021. "The Economic Risks of Pandexit." *Project Syndicate*, September 13. https://www.project-syndicate.org/commentary/post-pandemic-economic-recovery-inflation-risk-by-howard-davies-2021-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=c72b1f49ee-sunday_newsletter_19_09_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c72b1f49ee-93567601&mc_cid=c72b1f49ee&mc_eid=e9fb6cbcc0.

Dodman, Benjamin. 2022. "Baltic States End Russian Gas Imports – But Can the Rest of Europe Follow Suit?" *France 24*, April 5. https://www.france24.com/en/business/20220405-baltic-states-end-russian-gas-imports-%E2%80%93-but-can-the-rest-of-europe-follow-suit.

EBRD Press Office. 2022. "EBRD to Close Its Offices in Moscow and Minsk." *European Bank for Reconstruction and Development*, March 28. https://www.ebrd.com/news/2022/ebrd-to-close-its-offices-in-moscow-and-minsk-.html.

El-Erian, Mohamed A. 2020. "Navigating Deglobalization." *Project Syndicate*, May 11. https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-el-erian-2020-

05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0.

Frum, David. 2022. "The Food War." *The Atlantic*, March 8. https://www.theatlantic.com/ideas/archive/2022/03/rising-food-prices-ukraine-russia-war/626967/.

Furman, Jason. 2022. "The Economic Consequences of the Ukraine War." *Project Syndicate*, February 25. https://www.project-syndicate.org/commentary/economic-consequences-of-ukraine-war-by-jason-furman-2022-02.

Galbraith, James K. 2021. "Whipping Up America's Inflation Bogeyman." *Project Syndicate*, November 19, 2021. https://www.project-syndicate.org/commentary/inflation-not-macroeconomic-problem-for-fed-by-james-k-galbraith-2021-11.

Hufbauer, Gary Clyde, Jeffrey J. Schott, Kimberly Ann Elliott, and Barbara Oegg. 2021 *Economic Sanctions Reconsidered*. Washington DC: Peterson Institute for International Economics.

Krugman, Paul. 2022. "How the Putin Shock Might Affect the World Economy." *The New York Times*, March 8. https://www.nytimes.com/2022/03/08/opinion/putin-russia-ukraine-economy-sanctions.html.

Lukin, Artyom, and Aditya Pareek. 2022. "India's Aloof Response To The Ukraine Crisis." *Eurasia Review*, March 7. https://www.eurasiareview.com/07032022-indias-aloof-response-to-the-ukraine-crisis-analysis/.

McMaken, Ryan. 2022. "Why Sanctions Don't Work, and Why They Mostly Hurt Ordinary People." *Mises Wire, Mises Institute*, March 9. https://mises.org/wire/why-sanctions-dont-work-and-why-they-mostly-hurt-ordinary-people.

Mulder, Nicholas. 2022. *The Economic Weapon: The Rise of Sanctions as a Tool of Modern War*. New Haven: Yale University Press.

Nolsoe, Eir, and Valentina Pop. 2022. "Russia Sanctions List: What the West Imposed over the Ukraine Invasion." *Financial Times*, March 4. https://www.ft.com/content/6f3ce193-ab7d-4449-ac1b-751d49b1aaf8.

Pant, Harsh V. 2022. "India Must Think of Reconfiguring Ties with Russia." *Eurasia Review*, February 28. https://www.eurasiareview.com/28022022-india-must-think-of-reconfiguring-ties-with-russia-oped/.

Papava, Vladimer. 2014a. "Old or New Cold War? Is the New Cold War a Continuation of the Old?" *CICERO Foundation Great Debate Paper*, No. 14/07, October. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2505586.

Papava, Vladimer. 2014b. "The End Of The Frozen Cold War?" *Eurasia Review*, June 30. https://www.eurasiareview.com/30062014-the-end-of-the-frozen-cold-war-analysis/.

Papava, Vladimer. 2015. "Economic Models of Eurasianism and the Eurasian Union: Why the Future Is Not Optimistic." *CACI Analyst*, October 29. http://cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13296.

Papava, Vladimer. 2021a. "On Pseudo De-Globalization, Silk Road of Global Value Chains And Role of Georgia." *Eurasia Review*, October 18. https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/.

Papava, Vladimer. 2021b. "On the Correlation Between Pandexit And Crisexit" *Eurasia Review*, October 7. https://www.eurasiareview.com/07102021-on-the-correlation-between-pandexit-and-crisexit-oped/.

Papava, Vladimer. 2021c. "On the Modern Economic Imperialism of Russia." *Baltic Rim Economies*, October 28. https://sites.utu.fi/bre/on-the-modern-economic-imperialism-of-russia/.

Papava, Vladimer. 2022a. "Cold War vs. Hot War in 2022." *Eurasia Review*, February 28. https://www.eurasiareview.com/28022022-cold-war-vs-hot-war-in-2022-oped/.

Papava, Vladimer. 2022b. "On Sanctionomics." *Eurasia Review*, March 14. https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/.

Papava, Vladimer. 2022c. "On Sanctionomics and the Externalities of Economic Sanctions." *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 16, no. 2: 142-149. http://science.org.ge/bnas/vol-16-2.html.

Papava, Vladimer. 2022d. "On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy." *Eurasia Review*, March 31. https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/.

Papava, Vladimer. 2022e. "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23. https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I.

Papava, Vladimer. 2022f. "The Underproduction Inflation: An Acute Challenge for Post-Pandemic World." *Eurasia Review*, February 7. https://www.eurasiareview.com/07022022-the-underproduction-inflation-an-acute-challenge-for-post-pandemic-world-oped/.

Papava, Vladimer, and Frederick Starr. 2006. "Russia's Economic Imperialism." *Project Syndicate*, January 17. https://www.project-syndicate.org/commentary/russia-s-economic-imperialism.

PIIE, n.d. "Summary of Economic Sanctions Episodes, 1914–2006." P*eterson Institute for International Economics*, Accessed March 112, 2022. https://www.piie.com/summary-economic-sanctions-episodes-1914-2006.

Pride, Jason D., Michael T. Reynolds, and Ilona V. Vovk. 2022. "Supply-Chainflation." *Glenmede*, January 10. https://www.glenmede.com/wp-content/uploads/2022/01/Investment-Strategy-Notes-01-10-22.pdf.

Rodrik, Dani. 2022a. "A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes." *Project Syndicate*, May 9. https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05.

Rodrik, Dani. 2022b. "The New Productivism Paradigm?" *Project Syndicate*, July 5. https://www.project-syndicate.org/commentary/new-productivism-economic-policy-paradigm-by-dani-rodrik-2022-07.

Roubini, Nouriel. 2022a. "A Stagflationary Debt Crisis Looms." *Project Syndicate*, June 29. https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-debt-crisis-by-nouriel-roubini-2022-06.

Roubini, Nouriel. 2022b. "Russia's War and the Global Economy." *Project Syndicate*, February 25. https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02.

Rousseau, Richard. 2022. "Three Months into the Russia-Ukraine War: Four Potential Outcomes." *Eurasia Review*, May 15. https://www.eurasiareview.com/15052022-three-months-into-the-russia-ukraine-war-four-potential-outcomes-analysis/.

Sachs, Jeffrey D. 2022. "Time to Talk Peace Terms with Russia." *Project Syndicate*, March 28. https://www.project-syndicate.org/commentary/peace-settlement-for-ukraine-by-jeffrey-d-sachs-2022-03.

~Spence, Michael. 2022a. "The Supply-Side Fight Against Inflation." *Project Syndicate*, Jully 1. https://www.project-syndicate.org/commentary/supply-side-measures-rein-in-inflation-without-causing-recession-by-michael-spence-2022-07?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=4bb3857adc-sunday_newsletter_07_03_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-4bb3857adc-93567601&mc_cid=4bb3857adc&mc_eid=e9fb6cbcc0.

Spence, Michael. 2022b. "Will Russia's War Spur Trade Diversification?" *Project Syndicate*, March 1. https://www.project-syndicate.org/commentary/russia-ukraine-war-must-spur-europe-energy-diversification-by-michael-spence-2022-03.

Stiglitz, Joseph E., and Dean Baker. 2022. "Inflation Dos and Don'ts." *Project Syndicate*, July 8. https://www.project-syndicate.org/onpoint/us-inflation-supply-side-causes-and-solutions-by-joseph-e-stiglitz-and-dean-baker-2022-07.

Tarallo, Mark. 2020. "The Effectiveness of Economic Sanctions as a Security Tool." *ASIS International*, January 1. https://www.asisonline.org/security-management-magazine/articles/2020/01/the-effectiveness-of-economic-sanctions-as-a-security-tool/.

UN. 2021. "Enhancing Energy Security in the Context of the Coronavirus Disease Pandemic for a Greener, More Resilient and Inclusive Energy Future in the Region." *UN Economic and Social Council*, February 1. https://www.unescap.org/sites/default/d8files/event-documents/ESCAP_77_17_E.pdf.

Weiss, Martin A. 2022. "Russia, Ukraine, and the International Financial Institutions." *Congressional Research Service*, March 14. https://crsreports.congress.gov/product/pdf/IN/IN11888.

Wei, Shang-Jin and Tao Wang. 2022. "The Inflationary Consequences of Deglobalization." *Project Syndicate*, July 13. https://www.project-syndicate.org/commentary/us-china-deglobalization-inflationary-effects-by-shang-jin-wei-and-tao-wang-3-2022-07.

Werker, Eric. 2022. "The Russian Economy is Headed for Collapse." *The Conversation*, March 10. https://theconversation.com/the-russian-economy-is-headed-for-collapse-178605.

Yergin, Daniel. 2022. "The Energy Crisis Will Deepen." *Project Syndicate*, July 11. https://www.project-syndicate.org/commentary/energy-crisis-will-deepen-no-supply-by-daniel-yergin-2022-07?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=9a8db7b597-sunday_newsletter_07_17_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-9a8db7b597-93567601&mc_cid=9a8db7b597&mc_eid=e9fb6cbcc0.